საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ ოჯახებს საახალწლო ნობათი გადაეცათ

13 იანვარი 2020

რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა შიდა ქართლში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში - გუგუტიანთკარში, ზარდიაანთკარსა და კოშკაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს შობა-ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო ნობათი, ავეჯი, სამოსი და პირველადი მოხმარების ნივთები გადასცეს.

,,საჯარო უწყებები ხშირად ვთანამშრომლობთ და ერთობლივად ვახორციელებთ სოციალურ პროექტებს. ამჯერად საოკუპაციო ხაზის სოფლებში ვიმყოფებოდით და ოჯახებს შობა-ახალი წელი მივულოცეთ. გარდა სახელმწიფო პროგრამებისა და გეგმებისა, მნიშვნელოვანია ჩვენი მხრიდან გამოჩენილი სოციალური პასუხისმგებლობა"- აღნიშნა გიორგი ხოჯევანიშვილმა.